ეთიკის კომისიის

გადაწყვეტილება

დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარის თქმის თაობაზე

მესამე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:
ქეთევან უტიაშვილი – კოლეგიის თავმჯდომარე
თორნიკე ბაქრაძე – კოლეგიის წევრი
თეიმურაზ თოდრია – კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი: ე. ხ.
საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 14.02.2020
საჩივრის რეგისტრაციის N024/20
საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ შ. ძ.-ის მიმართ, სიითი N
საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ შ. ძ.-ისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი:

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2020 წლის 14 თებერვალს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა ე. ხ.-მა და მოითხოვა ადვოკატ შ. ძ.-ისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 მომჩივანის განმარტებით, შ. ძ. წარმოადგენდა მის ინტერესებს ფინანსთა სამინისტროს წინააღმდეგ 2015-2016 წლებში არსებულ დავაში. ამავე პერიოდში მომჩივანმა მისი ინტერესების წარმომადგენლობის უფლებამოსილება მიანიჭა შვილიშვილს, ნ. ბ.-ს.

1.3 საჩივრის თანახმად, ზემოაღნიშნული დავა დასრულდა მომჩივანის სასარგებლოდ და მოპასუხეს დაეკისრა 100 000 ლარის გადახდა, რომელიც იძულებითი აღსრულების გზით დაერიცხა მომჩივანის მინდობილ პირს - ნ. ბ.-ს. მომჩივანის განმარტებით, მან მოსთხოვა ნ. ბ.-ს თანხის გადაცემა, რაზეც უარი მიიღო. შედეგად, მომჩივანმა წამოიწყო სამართლებრივი დავა შვილიშვილის წინააღმდეგ.

1.4 მომჩივანის განმარტებით, აღნიშნულ დავაში, ნ. ბ. სამართლებრივ კონსულტაციას იღებს მისი ყოფილი ადვოკატის, შ. ძ.-ისგან, რისი გათვალისწინებითაც, ითხოვს აღნიშნული ფაქტის დადგენას და შესაბამის რეაგირებას ეთიკის კომისიის მხრიდან.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 ადვოკატ შ. ძ.-ის განმარტებით, 2015-2016 წლებში იგი ნამდვილად იყო ე. ხ.-ის წარმომადგენელი როგორც ადმინისტრაციულ, ისე სამოქალაქო სამართლის დავაში ფინანსთა სამინისტროს წინააღმდეგ, რომელიც ე. ხ.-ის სასარგებლოდ დასრულდა. მოპასუხეს დაეკისრა 31 100 აშშ დოლარის ექვივალენტის ლარში გადახდა, გადახდის დროს არსებული კურსით. ამავე დროს, ე. ხ.-ს წარმომადგენლობის უფლებამოსილება მინიჭებული ჰქონდა შვილიშვილისთვის - ნ. ბ.-ისთვის. ადვოკატის განცხადებით, მისთვის უცნობია, სასამართლო დავების დასრულების შემდეგ თუ როგორ განვითარდა მოვლენები და რა ურთიერთობა ჩამოყალიბდა ე. ხ.-სა და მის შვილიშვილს - ნ. ბ.-ს შორის.

2.2 ადვოკატი ადასტურებს, რომ მის საადვოკატო ბიუროში მისული იყო ნ. ბ., რომელმაც შეახსენა ერთად წარმოებული საქმე და დაიწყო მასსა და ბებიას შორის არსებული დაძაბულობის შესახებ მოყოლა. ადვოკატი აცხადებს, რომ მან ამ საუბრის დაწყებისთანავე ნ. ბ.-ს უთხრა, რომ იგი იყო მისი ბებიის, ე. ხ.-ის წარმომადგენელი და მას ვერანაირ კონსულტაციას გაუწევდა სწორედ პროფესიული ეთიკის სტანდარტებიდან გამომდინარე. ადვოკატი განმარტავს, რომ მასსა და ნ. ბ.-ს შორის სხვა საუბარი არ ყოფილა.

3. ნ. ბ.-ის პოზიცია:

მომჩივანის შვილიშვილი, ნ. ბ. გამოიკითხა, როგორც ადვოკატის მოწმე. ნ. ბ.-მა 2020 წლის 22 ივლისს ეთიკის კომისიის სხდომაზე დაადასტურა, რომ იგი წარმოადგენდა ბებიის რწმუნებულს ფინანსთა სამინისტროს წინააღმდეგ 2015-2016 წლებში მიმდინარე დავებისას. მან ასევე დაადასტურა, რომ ზემოაღნიშნული დავის შედეგად მიიღო მოპასუხისთვის დაკისრებული თანხა. ნ. ბ.-მა განმარტა, რომ იგი უვლიდა ბებიას და მისთვის თანხის ჩარიცხვა მოხდა თავად ე. ხ.-ის გადაწყვეტილებით, მის მიერვე გაცემული მინდობილობის საფუძველზე. ნ. ბ. აცხადებს, რომ მას ე. ხ.-ის ადვოკატთან არ გაუვლია სამართლებრივი კონსულტაცია და ადვოკატ შ. ძ.-ს მისთვის საქმეზე სამართლებრივი რჩევა არ მიუცია.

II სამოტივაციო ნაწილი

4. ფორმალური წინაპირობების შემოწმება:

4.1 ადვოკატი შ. ძ. არის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მოქმედი წევრი /სიითი N/, სპეციალიზაცია – საერთო.

4.2 ე. ხ.-მა ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა 2020 წლის 14 თებერვალს.

4.3 სადავო ქმედება განხორციელებულია 2017-2020 წლებში. ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე არ არის გასული ეთიკის კომისიისადმი საჩივრით მომართვის ვადა – 5 წელი.

5. შემაჯამებელი დასკვნა

ეთიკის კომისიას მიაჩნია, რომ ადვოკატ შ. ძ.-ის მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა, რადგან მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს „ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 32–ე მუხლითა და „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულების 30–ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

6. სამართლებრივი შეფასება

6.1 საჩივრის ავტორის პრეტენზია გამოიხატა შემდეგში: შ. ძ.-მ, რომელიც იყო მომჩივანის ადვოკატი, სამართლებრივი კონსულტაცია გაუწია მომჩივანის შვილიშვილს - ნ. ბ.-ს, რომელთანაც მომჩივანს სამართლებრივი დავა აქვს.

6.2 ეთიკის კომისიამ იმსჯელა ადვოკატ შ. ძ.-ის მიერ შემდეგი მუხლების შესაძლო დარღვევის თაობაზე:

> ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტი: „ადვოკატი ვალდებულია არ განახორციელოს ისეთი ქმედება და არ დაამყაროს ისეთი ურთიერთობა, რომელიც საფრთხეს შეუქმნის კლიენტის ინტერესებს, ადვოკატის პროფესიულ საქმიანობას ან დამოუკიდებლობას."
>
> ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მეორე პუნქტი: ,,ადვოკატს უფლება არა აქვს შეასრულოს პროფესიული ფუნქციები, თუ იმავე საქმეზე უკვე განახორციელა საადვოკატო საქმიანობა მეორე მხარის სასარგებლოდ."

6.3 ეთიკის კომისია განმარტავს, რომ ინტერესთა კონფლიქტი წარმოიშობა, თუ ადვოკატის საქმიანობაზე არსებით და უარყოფით გავლენას ახდენს მისი პირადი ინტერესი ან ვალდებულება კლიენტის, ყოფილი კლიენტის თუ მესამე პირის მიმართ (საქმე №015/10, 2011 წლის 20 აპრილი). საადვოკატო მომსახურების გაწევის შემდეგ აკრძალულია იმ კლიენტის სამართლებრივი დახმარება, რომელსაც ყოფილი კლიენტისაგან განსხვავებული, არსებითად საწინააღმდეგო პოზიცია აქვს იმავე ან სამართლებრივად დაკავშირებულ დავაში (დისციპლინური საქმე №100/11, 2013 წლის 08 იანვარი).

6.4 ინტერესთა კონფლიქტზე საკითხის განხილვისას ხშირად ხდება საკამათო, შეიძლება თუ არა კონკრეტული პირი ჩაითვალოს კლიენტად და ადვოკატს წარმოეშვა თუ არა მის მიმართ ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული ვალდებულებები. „ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის მე-2 მუხლი განსაზღვრავს თუ რა მიიჩნევა საადვოკატო საქმიანობად, და უთითებს, რომ ასეთი ურთიერთობაა „ადვოკატის მიერ იურიდიული რჩევის მიცემა იმ პირისათვის, რომელმაც მას დახმარებისათვის მიმართა (კლიენტი)". ადვოკატსა და კლიენტს შორის ურთიერთობა იწყება ჯერ კიდევ პოტენციური კლიენტისათვის სამართლებრივი კონსულტაციის გაწევის

მომენტიდან. (ეთიკის კომისიის საქმიანობა, პრეცენდენტები, რეკომენდაციები, 2014-2016 წწ., გვ 43)

6.5 ზემოაღნიშნულის მხედველობაში მიღებით, არსებული ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, მოცემულ საქმეში შესაფასებელია რამდენად დაიცვა ადვოკატმა ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობის სტანდარტი. თუმცა მანამ, სანამ აღნიშნული დადგინდება, უნდა განისაზღვროს, ნ. ბ. რამდენად ითვლება ადვოკატ შ. ძ.-ის კლიენტად. საქმის ფაქტებით დგინდება, რომ მომჩივანი, ე. ხ. წარმოადგენდა შ. ძ.-ის კლიენტს, ხოლო ნ. ბ.-ის კუთხით საკითხი სადავოა, რადგან ნ. ბ.-ის მიერ ადვოკატისგან კონსულტაციის მიღებაზე საქმეში წარმოდგენილია მხოლოდ მომჩივანის განმარტება. ამ გარემოებას უარყოფს როგორც თავად ნ. ბ., ასევე ადვოკატი შ. ძ.. დისციპლინური საქმით დგინდება შემდეგი ფაქტები: ადვოკატ შ. ძ.-სა და ე. ხ.-ს შორის დასრულებული იყო ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა, როდესაც საჩივრის ავტორის განმარტებით, მას კონსულტაციისთვის მიმართა ნ. ბ.-მა. საქმე, რომელზეც წარმომადგენლობას უწევდა შ. ძ. მომჩივანს, დასრულდა მომჩივანის სასარგებლო გადაწყვეტილებით და აღსრულდა კიდეც მომჩივანის სასარგებლოდ. საქმეში წარმოდგენილი ახსნა-განმარტებებით დგინდება ნ. ბ.-ის მიერ ბებიასთვის იგივე საქმეზე წარმომადგენლობის ფაქტი. ასევე დგინდება, რომ მან მიიღო აღსრულების შედეგად შესაბამისი თანხა, რაც თავის მხრივ, ეფუძნებოდა მასსა და ბებიას შორის იმ პერიოდში არსებულ შეთანხმებას თანხის განკარგვაზე.

6.6 ადვოკატი შ. ძ. ადასტურებს ფაქტს, რომ ნ. ბ. იმყოფებოდა მასთან და დაიწყო კიდეც მასსა და ადვოკატის კლიენტს - ე. ხ.-ს შორის არსებული დაძაბულობის შესახებ საუბარი, თუმცა ადვოკატი ასევე განმარტავს, რომ ამ ამბის მოყოლის დაწყებისას, მან მიუთითა ნ. ბ.-ს, რომ მოცემულ საკითხზე იგი ვერ გაუწევდა ვერანაირ სამართლებრივ კონსულტაციას. აღნიშნული დასტურდება თავად ნ. ბ.-ის განმარტებიდანაც, რომელიც უარყოფს ადვოკატის მიერ მისთვის რაიმე სახის კონსულტაციის გაწევას ე. ხ.-თან დავაზე. ამრიგად, საქმეში არსებობს მხოლოდ მომჩივანის მითითება ადვოკატ შ. ძ.-ის მხრიდან ნ. ბ.-სადმი კონსულტაციის გაცემის ფაქტზე, რაც ვერ დასტურდება, შესაბამისად, ვერ დგინდება ფაქტი, რომ ნ. ბ.-სა და შ. ძ.-ს შორის არსებობდა ადვოკატ–კლიენტის ურთიერთობა და იგი კლიენტის, ე. ხ.-ის ინტერესების საწინააღმდეგოდ ეხმარება ნ. ბ.-ს. შესაბამისად, ვერ დგინდება ,,ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის პირველი და მეორე პუნქტების შესაძლო დარღვევა. მომჩივანი მართალია საჩივარში უთითებს ნ. ბ.-ის მხრიდან ბებიისთვის თანხის გადაუცემლობის ფაქტზე, ამ უკანასკნელის მოთხოვნის მიუხედავად, მაგრამ აღნიშნული საკითხის შეფასება არ შედის ეთიკის კომისიის კომპეტენციაში, რადგან კომისია როგორც დისციპლინური დევნის ორგანო, შეისწავლის და აფასებს მხოლოდ ადვოკატის პროფესიულ ქცევებს.

6.7 ეთიკის კომისიამ იხელმძღვანელა ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ 30-ე მუხლის პირველი პუნქტით, 40-ე მუხლის პირველი პუნქტით და გადაწყვიტა:

III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე N024/20 არ აღიძრას დისციპლინური დევნა ადვოკატ შ. ძ.-ის /სიითი N/ მიმართ.
2. გადაწყვეტილების ასლი ჩაბარდეთ მხარეებს.
3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /ქეთევან უტიაშვილი/

კოლეგიის წევრი: /თორნიკე ბაქრაძე/

კოლეგიის წევრი: /თეიმურაზ თოდრია/